



# ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო განკარგულება №20/61

2017 წლის 25 აგვისტო

ქალაქი ფოთი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო ცენტრის დირექტორის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის “ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 106<sup>1</sup>-ე მუხლის მე-15 პუნქტის, „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 დეკემბრის №21/56 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 116<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირის მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიშს საკრებულოს თავმჯდომარის მიერ დადგენილი რიგითობის მიხედვით განხილავს საკრებულოს შესაბამისი კომისია, საკრებულოს ბიურო და საკრებულო.

**აღნიშნულიდან გამომდინარე:**

## **მუხლი 1.**

ცნობად იქნას მიღებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის-ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო ცენტრის დირექტორის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.

## **მუხლი 2.**

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარის  
მოვალეობის შემსრულებელი,  
თავმჯდომარის მოადგილე

აკაკი დარჯანია